

სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

11.04.2014

№

71

[მეოთხე მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის
არჩევნების შესახებ]

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სტუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობის 2014 წლის 7 აპრილის №4 სხდომის გადაწყვეტილების შესაბამისად, მეოთხე მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდეს 2014 წლის 21 მაისს.
2. მოქმედი სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობის წევრების მომართვის საფუძველზე დამტკიცდეს მეოთხე მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების დებულების თანდართული პროექტი და სტუ-ს მეოთხე მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდეს ამ დებულების შესაბამისდ (დანართი №1).
3. დებულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელიც საჭიროებს სტუ-ს ადმინისტრაციის მხრიდან დახმარებას, კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად, სტუ-ს სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის უფროსს ბორის გითოლენდიას დაევალოს, კომპეტენციის ფარგლებში, აღნიშნულ საკითხებზე სტუდენტურ თვითმმართველობას გაუწიოს დახმარება და საჭიროების შემთხვევაში მათთან შეთანხმებით პერიოდულად წარმოადგინოს დამატებითი წინადადებები.
5. ინფორმაციის საჯაროობის მიზნით ბრძანება განთავსდეს სტუ-ს ინტერნეტ გვერდზე.

საფუძველი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობის წევრების ა. ადვიშვილის, გ. მუსერიძის, ვ. ლომიძის, ბ. კიკნაძის, გ. მექერიშვილის, ვ. მეშველიანის, ბ. ქურდაძის, თ. რობაქიძის მიმართვა.

რექტორი



/ა. ფრანგიშვილი/

ვიზები:

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი



/ქ. ქოქრაშვილი/

იურიდიული

დეპარტამენტის უფროსი



/ბ. მაისურაძე/